

შპს „ბორნ სოფქიმია“

2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

თბილისი

2025

ს ა რ ზ ე ვ ი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „ბორნ სოფქიმის“ 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
შპს „ბორნ სოფქიმის“ 2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება:	
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	12

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას და კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებას 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე კონსოლიდირებულ სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებული მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2025 წლის 19 თებერვალს:

გენერალური დირექტორი-----თინათინ საფრიძე

მთავარი ბუღალტერი -----გიორგი დავითაძე

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „ბორნ სოფქიმის“ პარტნიორსა და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ბორნ სოფქიმის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი – 206337784) (შემდგომში – „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და კონსოლიდირებული სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის – „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ – ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი კონსოლიდირებული საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით 2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარება ჩვენმა აუდიტორმა კომპანიამ დაიწყო 2023 წლის ივნისიდან. შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვახერხეთ საანგარიშგებო პერიოდის (2022 წლის) დასაწყისში და ბოლოს, აგრეთვე შესადარისი პერიოდის დასაწყისში და ბოლოს მარაგების ინვენტარიზაციაზე დაკვირვებით ან სხვა ალტერნატიული გზებით, მარაგების რაოდენობებისა და დასტურება, რომლებიც ჯგუფს აქვს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს (2022 წლის დასაწყისში - 9 774 ათასი ლარი, 2022 წლის ბოლოს - 13 348 ათასი ლარი და 2021 წლის დასაწყისში - 7 707 ათასი ლარი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ მარაგთან და მის მოძრაობასთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარეებისგან დასტურის წერილები სავაჭრო ვალდებულებების უმეტეს ნაწილზე (31.12.2022: 3 119 ათასი ლარი, 31.12.2021: 2 454 ათასი ლარი და 01.01.2021: 2 595 ათასი ლარი) და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მათი დადასტურება. შესაბამისად, ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა სავაჭრო ვალდებულებების დავალიანების მუხლში და მათთან დაკავშირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტების მუხლებში რამე სახის კორექტირებების შეტანა.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარეებისგან დასტურის წერილები გადახდილი ავანსების უმეტეს ნაწილზე (31.12.2022: 1 668 ათასი ლარი, 31.12.2021: 1 587 ათასი ლარი და 01.01.2021: 5 282 ათასი ლარი) და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მათი დადასტურება. შესაბამისად, ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა გადახდილი ავანსების მუხლში და მათთან დაკავშირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტების მუხლებში რამე სახის კორექტირებების შეტანა.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ დასტურის წერილი და ბანკის ამონაწერები შვილობილ საწარმოზე შპს „აგრო ჰოლდინგი“ და ვერ შევძელით ამ შვილობილი საწარმოს საბანკო ანგარიშებზე ნაშთების დადასტურება (31.12.2022: 2 ათასი ლარი, 31.12.2021: 2 ათასი ლარი და 01.01.2021: 2 ათასი ლარი). შესაბამისად, ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლში და მათთან დაკავშირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტების მუხლებში რამე სახის კორექტირებების შეტანა. აღსანიშნავია, რომ კომპანიას 2019 წლიდან სამეურნეო ოპერაციები არ განუხორციელებია.

აუდიტს წარემართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობით ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის ანგარიშგებას ამზადებს ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ყ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ის სდპ, რომელიც შეესაბამება პირველი კატეგორიის საწარმოს ზომით კატეგორიას, ამასთანავე, საანგარიშგებო პერიოდში ჰყავს საშუალოდ 500-ზე მეტი დასაქმებული...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, ჯგუფმა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. კონსოლიდირებულ საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას ჯგუფის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობის შესახებ

ჯგუფის 2023 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედნილია ამავე საანგარიშგებო წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

სხვა გარემოებები

შპს „აგროჰოლდინგი“-ს წესდებით განსაზღვრული განთავსებული საწესდებო კაპიტალი 01.01.2021, 31.12.2021 და 31.12.2022-ის მდგომარეობით შეადგენს 119 817 ლარს, აქედან სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულია მხოლოდ ასი ერთეული.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის

პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე
ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური

ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი – საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

19 თებერვალი, 2025 წელი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.	01 იანვარი, 2021 წ.	შენიშვნა
მოკლევადიანი აქტივები:				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5 050 811	70 437	1 169 386	3.1.
სავაჭრო მოთხოვნები	501 185	1 125 362	979 531	3.2.
მარაგები	13 348 469	9 774 233	7 706 694	3.3.
გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული	1 667 794	1 587 221	5 281 607	
მიმდინარე საგადასახადო აქტივები	17 726	-	-	3.4.
სხვა მიმდინარე აქტივები	15 042	121 404	23 061	
მოკლევადიანი აქტივები სულ:	20 601 027	12 678 657	15 160 279	
გრძელვადიანი აქტივები:				
ძირითადი საშუალებები	3 854 023	3 975 653	3 397 562	3.5.
არამატერიალური აქტივები	18 801	16 956	6 985	3.6.
გრძელვადიანი აქტივები სულ:	3 872 824	3 992 609	3 404 547	
აქტივები სულ:	24 473 851	16 671 265	18 564 826	
მოკლევადიანი ვალდებულებები:				
სავაჭრო ვალდებულებები	3 119 253	2 454 100	2 595 296	3.7.
მოკლევადიანი სესხები	4 803 467	1 334 774	5 704 427	3.8.
სახელმწიფო ვალდებულებები	282 123	464 520	111 853	
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	-	51 898	64 504	3.4.
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1 059 027	1 787 071	787 565	3.9.
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	9 263 870	6 092 364	9 263 644	
გრძელვადიანი ვალდებულებები:				
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	294 496	1 345 475	3 124 288	3.10.
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	294 496	1 345 475	3 124 288	
კაპიტალი				
განთავსებული კაპიტალი	100	100	100	3.11.
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	14 915 385	9 233 326	6 176 794	
მესაკუთრეთა კაპიტალი	14 915 485	9 233 426	6 176 894	
არამაკონტროლებელი წილი				
კაპიტალი სულ:	14 915 485	9 233 426	6 176 894	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	24 473 851	16 671 265	18 564 826	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 19 თებერვალს და ხელმოწერილია:

გენერალური დირექტორი ----- თინათინ საფრიძე

მთავარი ბუღალტერი ----- გიორგი დავითაძე

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	2022 წელი	2021 წელი	შენიშვნა
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	31 814 719	25 662 399	3.12.
რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება	(23 700 067)	(20 202 897)	3.13.
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	8 114 652	5 459 502	
გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები	(205 339)	(270 386)	3.14.
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2 195 156)	(1 643 117)	3.15.
სხვა საოპერაციო ხარჯები	(252 370)	(106 301)	3.16.
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	5 461 787	3 439 698	
ფინანსური შემოსავალი	97 648	11 776	3.17.
ფინანსური ხარჯი	(96 870)	(302 109)	3.18.
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან	92 148	(149 354)	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	160 318	77 221	3.19.
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(29 913)	(20 700)	
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	5 685 118	3 056 532	
მოგების გადასახადი	(3 060)	-	
წლის წმინდა მოგება	5 682 059	3 056 532	
წლის სრული შემოსავალი	5 682 059	3 056 532	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 19 თებერვალს და ხელმოწერილია:

გენერალური დირექტორი ----- თინათინ საფრიძე

მთავარი ბუღალტერი ----- გიორგი დავითაძე

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	განთავსებული კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ სათაო კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2021-სთვის	100	6 176 794	6 176 894	6 176 894
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	3 056 532	-	3 056 532
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	100	9 233 326	9 233 426	9 233 426
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2021-სთვის	100	9 233 326	9 233 426	9 233 426
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	5 682 059	5 682 059	5 682 059
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	100	14 915 385	14 915 485	14 915 485
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2022-სთვის	100	14 915 385	14 915 485	14 915 485

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 19 თებერვალს და ხელმოწერილია:

გენერალური დირექტორი ----- თინათინ საფრიძე

მთავარი ბუღალტერი ----- გიორგი დავითაძე

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2022 წელი	2021 წელი	შენიშვნა
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	33 187 672	26 334 773	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(27 197 004)	(19 485 422)	
გაცემული შრომის ანაზღაურება (საპენსიო შენატანების ჩათვლით)	(925 610)	(882 589)	
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	(4 311)	11 132	
გადახდილი გადასახადები	(1 092 936)	(770 009)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(227 276)	(40 888)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	3 740 535	5 166 998	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(714 268)	(826 026)	
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გასვლიდან შემოსულობანი	108 617	10 000	
მიღებული პროცენტები	84 343	5 674	
სხვა შემოსულობანი /განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)	225 377	(50 939)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(295 931)	(861 291)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების აღება	20 089 850	13 034 971	
სესხების დაფარვა	(16 623 661)	(17 405 587)	3.21.
გადახდილი პროცენტები	(94 367)	(301 146)	
გადახდილი დივიდენდები	(1 689 872)	(737 028)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	1 681 950	(5 408 790)	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(146 180)	4 134	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	4 980 374	(1 098 949)	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	70 437	1 169 386	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	5 050 811	70 437	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 19 თებერვალს და ხელმოწერილია:

გენერალური დირექტორი ----- თინათინ საფრიძე

მთავარი ბუღალტერი -----გიორგი დავითაძე

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. წინამდებარე 2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბორნ სოფქიმია“ (შემდგომში – *ჯგუფი*) მიერ. შპს „ბორნ სოფქიმია“ (ყოფილი შპს „ბორან სოფქიმია“) დარეგისტრირებულია 2009 წლის 15 იანვარს კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს მიერ. მისი საიდენტიფიკაციო ნომერია – **206337784**, იურიდიული მისამართი – საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, მარნეულის ქ., N44. დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად 2009 წლის 06 აპრილს.

1.2. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის პარტნიორებს წარმოადგენენ:

- აჩიკო კორძაძე (პ/ნ 01015018523) – 50%;
- თინათინ საფრიძე (პ/ნ 01007013352) – 21%;
- გიორგი კორძაძე (პ/ნ 01015018175) – 29%.

1.3. ჯგუფის ხელმძღვანელი ორგანოებია:

ჯგუფის ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს დირექტორატი, რომელიც წარმართავს ჯგუფის საქმიანობას. ხელმძღვანელი პირები საწარმოს წარმოადგენენ ერთმანეთის დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე. წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის დღეს არიან დირექტორები – თინათინ საფრიძე და გია კორძაძე (პ/ნ 10001000876).

1.4. შვილობილი საწარმოები:

შპს „ბორნ სოფქიმია“ წარმოადგენს საქართველოში დაფუძნებული შემდეგი საწარმოს მშობელ კომპანიას, რომელთანაც განხორციელდა 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაცია:

შპს „აგრო ჰოლდინგი“, საიდენტიფიკაციო ნომერი 406104996, რეგისტრირებული 17.10.2013 წ. იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, ისნის რაიონი, წულუკიძის ქ., N6. წილობრივი მონაწილეობა - 100%. შპს „აგრო ჰოლდინგს“ 2019 წლიდან დღემდე სამეურნეო ოპერაციები არ განუხორციელებია.

1.5. ჯგუფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მდგომარეობით, არ ჰყავს მეკავშირე და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები.

1.6. ჯგუფის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობებია:

მცენარეთა მოვლის საშუალებებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ვაჭრობა.

1.7. ბიზნეს-გარემო

ჯგუფი საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო

ცვლილებები, რაც ზოგჯერ წარმოშობს საკამათო საკითხებს სახელმწიფო ორგანოებსა და კომერციულ კომპანიებს შორის.

1.8. წესდების მიხედვით, სამეურნეო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით, საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი – დარიცხვის მეთოდი დაცულია. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „მსს ფასს“-თან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების თანხებზე. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.2. გათვალისწინებულია „მსს ფასს“-ის ძირითადი დაშვება – ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ჯგუფი შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, ჯგუფის 2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.3. ჯგუფის მიერ ფაქტობრივად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების ძირითადი საფუძველი

ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის შესაბამისად. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და კონსოლიდირებულ განმარტებით შენიშვნებს. კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება – პირდაპირი მეთოდით.

საანგარიშგებო პერიოდი

საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

ფინანსური ინსტრუმენტები

მსს ფასს-ის მე-11 განყოფილება – „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“, ეხება ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კლასიფიკაციას, გაზომვას და აღიარებას.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

თავდაპირველი აღიარება

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, საწარმომ ისინი უნდა შეაფასოს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება).

შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა, თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით, როგორიცაა, მაგალითად, საქონლის ან მომსახურების მყიდველისთვის უპროცენტო კრედიტის მიცემა, ან დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი, მაგალითად, დაქირავებული პირისთვის სესხის მიცემა უპროცენტოდ, ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით.

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების დღგ-ის, ექსპორტის საბაჟო გადასახადის, აქციზის და სხვა მსგავსი სავალდებულო გადახდების გარეშე.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც და იანგარიშდება რეალური ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ ჯგუფს აქვს ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დასაქმებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

დებიტორული სავაჭრო დავალიანების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს შესაბამისი მისაღები მოთხოვნების მიხედვით კუთვნილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ მიღებას.

1 წლით ან მეტი ვადით გადაუხდელ სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურებული ზარალი აღიარდება 100%-ის ოდენობით, 3 თვემდე ვადით გადაუხდელ სავაჭრო მოთხოვნებზე აღიარდება ზარალი 2%-ის ოდენობით, ხოლო სხვა სავაჭრო მოთხოვნებზე – 10%-დან 50%-მდე, თანხის გადაუხდელობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე.

გაუფასურებული მოთხოვნის ჩამოწერა აისახება არსებული გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური

იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში – საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) საინვესტიციო ქონების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როცა დაიწყო ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება.

დ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, საბალანსო და ნარჩენ (სალიკვიდაციო) ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები	- 5-10%;
მანქანა-დანადგარები	- 10-50%;
სატრანსპორტო საშუალებები	- 10-20%;
ავეჯი და სხვა ინვენტარი	- 20%;
საოფისე აღჭურვილობა	- 20%;
სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობები	- 10-20%;
სხვა ძირითადი საშუალებები	- 20-50%;

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით – 10%.

2.4. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს.

გადავადებული მოგების გადასახადი ან გადავადებული საგადასახადო აქტივი გამოითვლება საბალანსო ვალდებულებების მეთოდით ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით გამოთვლილ აქტივსა (ვალდებულებებსა) და საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილ აქტივებს (ვალდებულებებს) შორის.

მიმდინარე მოგების გადასახადი 2017 წლამდე გამოითვლება საგადასახადო მოგებიდან (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საგადასახადო

შემოსავლებსა და გამოსაქვით ხარჯებს შორის სხვაობიდან) მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთის გამოყენებით.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა (ძირითადად – ფინანსური დაწესებულებებისა).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, გარდა ზოგიერთი სახის საწარმოსი (მაგალითად, კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სესხის გამცემ სუბიექტად რეგისტრირებული პირები...), როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა, მაგალითად – საზღვარგარეთ ფილიალების არსებობისას).

საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი არის 15% (გარდა ზოგიერთი სპეციფიკური გამონაკლისისა).

2.5. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.6. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი; 1 EUR=2.8844 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი; 1 EUR=3.5040 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2022 წელს:

1 USD=2.9156 ლარი; 1 EUR=3.0792 ლარი.

2021 წელს:

1 USD=3.2170 ლარი; 1 EUR=3.8152 ლარი.

3. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:

	31 დეკემბერი, 2022 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2021 წ. (ლარი)	01 იანვარი, 2021 წ. (ლარი)
ფული სალაროში	3 761	2 683	10 178
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	5 047 050	67 754	1 159 208
	5 050 811	70 437	1 169 386

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	31 დეკემბერი, 2022 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2021 წ. (ლარი)	01 იანვარი, 2021 წ. (ლარი)
ადგილობრივი დამკვეთები	1 151 674	1 638 998	1 413 151
მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების გაუფასურება	(650 489)	(513 636)	(433 620)
	501 185	1 125 362	979 531

3.3. მარაგები:

	31 დეკემბერი, 2022 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2021 წ. (ლარი)	01 იანვარი, 2021 წ. (ლარი)
გასაყიდად გამიზნული საქონელი	13 342 810	9 773 939	7 702 596
სხვა მარაგები	5 659	294	4 098
	13 348 469	9 774 233	7 706 694

3.4. მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები:

საგადასახადო აქტივები

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.	01 იანვარი, 2021 წ.
ნაშთი ერთიან საგადასახადო ბარათზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	58 797	-	-
დარიცხული გადასახადები, რომლებიც აისახება საანგარიშგებო თარიღის შემდგომ	(41 071)	-	-
	17 726	-	-

საგადასახადო ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.	01 იანვარი, 2021 წ.
ნაშთი ერთიან საგადასახადო ბარათზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-	(51 739)	(44 507)
დარიცხული გადასახადები, რომლებიც აისახება საანგარიშგებო თარიღის	-	103 638	109 012
	-	51 898	64 504

3.5. ძირითადი საშუალებები:

	მიწა და შენობა- ნაგებობები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სასოფლო- სამეურნეო მანქანები და მოწყობილობები	სხვა	სულ
	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)
ისტორიული ღირებულება								
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 878 528	626 076	36 163	234 648	104 588	117 180	554 176	5 551 359
დამატება	508 188	72 420	65	26 469	12 290	36 967	54 588	710 987
(შემცირება)	(21 000)	(6 390)	-	-	-	-	(515 041)	(542 431)
სულ ისტორიული ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4 365 715	692 106	36 228	261 118	116 878	154 147	93 724	5 719 915
ცვეთა და გაუფასურება								
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 001 104	232 258	35 871	132 478	86 060	43 003	44 930	1 575 705
ცვეთის და გაუფასურების ხარჯი	163 836	57 984	266	24 789	7 192	25 257	11 968	291 290
ჩამოწერა	-	(1 103)	-	-	-	-	-	(1 103)
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 164 940	289 139	36 137	157 267	93 252	68 260	56 897	1 865 892
ნარჩენი ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 200 775	402 967	91	103 851	23 626	85 887	36 826	3 854 023

მიწა და შენობა- ნაგებობები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სასოფლო- სამეურნეო მანქანები და მოწყობილობები	სხვა	სულ
(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)
ისტორიული ღირებულება							
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 827 217	496 129	275 370	-	-	-	4 743 796
დამატება	51 311	258 407	100 029	-	-	-	818 844
(შემცირება)	-	(11 281)	-	-	-	-	(11 281)
სულ ისტორიული ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 878 528	743 256	375 399	-	-	-	5 551 359
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება							
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	859 282	230 148	224 808	-	-	-	1 346 232
ცვეთის და გაუფასურების ხარჯი	141 823	55 092	29 602	-	-	-	239 452
ჩამოწერა	-	(9 980)	-	-	-	-	(9 980)
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 001 104	275 261	254 410	-	-	-	1 575 705
ნარჩენი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 877 423	467 995	120 989	-	-	-	3 975 655

2022 წლის განმავლობაში კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, რომლის საბალანსო ღირებულება 31.12.2022 წ.-ის მდგომარეობით არის 1 806 794 ლარი (31.12.2021: 1 427 394 ლარი, 01.01.2021: 1 500 250 ლარი), დაგირავებული იყო „თიბისი ბანკიდან“ და „საქართველოს ბანკიდან“ მიღებული სასესხო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

3.6. არამატერიალური აქტივები:

	არამატერიალური აქტივები (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	37 910	37 910
დამატება	5 638	5 638
სულ ისტორიული ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	43 548	43 548
ამორტიზაცია და გაუფასურება		
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20 956	20 956
ამორტიზაციის და გაუფასურების ხარჯი	3 791	3 791
სულ აკუმულირებული ამორტიზაცია ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	24 747	24 747
ნარჩენი ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	18 801	18 801

	არამატერიალური აქტივები (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	25 460	25 460
დამატება	12 449	12 449
სულ ისტორიული ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	37 910	37 910
ამორტიზაცია და გაუფასურება		
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	18 477	18 477
ამორტიზაციის და გაუფასურების ხარჯი	2 478	2 478
სულ აკუმულირებული ამორტიზაცია ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20 956	20 956
ნარჩენი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16 954	16 954

3.7. სავაჭრო ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2022 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2021 წ. (ლარი)	01 იანვარი, 2021 წ. (ლარი)
რეზიდენტი კომპანიები	388 412	323 861	282 357
რეზიდენტი ფიზიკური პირები	40 159	55 488	53 851
არარეზიდენტი კომპანიები	2 690 683	2 074 751	2 259 087
	3 119 253	2 454 100	2 595 296

3.8. მოკლევადიანი სესხები:

	31 დეკემბერი, 2022 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2021 წ. (ლარი)	01 იანვარი, 2021 წ. (ლარი)
მოკლევადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (მირი)	4 800 000	1 333 811	5 704 427
მოკლევადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ (პროცენტი)	3 467	963	-
	4 803 467	1 334 774	5 704 427

მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება წარმოშობილი აქვს სს „თიბისი ბანკს“ (ს/კ 204854595) რომლის საფუძველია:

- შპს „ბორან სოფქიმას“ კაპიტალში აჩიკო კორმადის 50% წილის გირავნობის ხელშეკრულება. ნოტარიუსი მედეა გვაზავა, 1700944950, 18.08.2017).
- შპს „ბორან სოფქიმას“ კაპიტალში გიორგი კორმადის 15% წილის გირავნობის ხელშეკრულება. ნოტარიუსი მედეა გვაზავა, 170945077, 18.08.2017).
- შპს „ბორან სოფქიმას“ არამატერიალური ქონებრივი სიკეთე: კუთვნილი ყველა და ნებისმიერი არსებული, ასევე მომავალში წამოშობილი უფლება (მ.შ. დებიტორული მოთხოვნის უფლებები და სხვა) ყველა ნებისმიერი პირის მიმართ. გირავნობის ხელშეკრულება 636658/1-6, ნოტარიუსი მაია ბიგვა, 1400014598, 10.01.2014. შეთანხმება გირავნობის ხელშეკრულებაში 636658/1-6 ცვლილებების შესახებ, ნოტარიუსი მედეა გვაზავა, 180032481, 12.01.2018.
- შპს „ბორან სოფქიმას“ არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი: ყველა არსებული და სამომავლო სასაქონლო მატერიალური მარაგები. გირავნობის ხელშეკრულება 636658/1-5, ნოტარიუსი მაია ბიგვა, 1400014587, 10.01.2014. შეთანხმება გირავნობის ხელშეკრულებაში 636658/1-5 ცვლილებების შესახებ, ნოტარიუსი მედეა გვაზავა, 180032446, 12.01.2018.
- შპს „ბორან სოფქიმას“ კაპიტალში გიორგი კორმადის 10% წილის გირავნობის ხელშეკრულება. გირავნობის ხელშეკრულება 636658/1-3, ნოტარიუსი მაია ბიგვა, 1400014533, 10.01.2014. თნხმობა სს თიბისი ბანკი, 83/109-42 25.01.2018.
- შპს „ბორან სოფქიმას“ კაპიტალში აჩიკო კორმადის 50% წილის გირავნობის ხელშეკრულება. გირავნობის ხელშეკრულება 636658/1-2, ნოტარიუსი მაია ბიგვა, 1400014447, 10.01.2014. შეთანხმება გირავნობის ხელშეკრულებაში 636658/1-2 ცვლილებების შესახებ, ნოტარიუსი მედეა გვაზავა, 180093035, 30.01.2018.
- შპს „ბორან სოფქიმას“ კაპიტალში გიორგი კორმადის 29% წილის გირავნობის ხელშეკრულება. გირავნობის ხელშეკრულება 636658/1-4, ნოტარიუსი მაია ბიგვა,

1400014402, 10.01.2014. შეთანხმება გირავნობის ხელშეკრულებაში 636658/1-4 ცვლილებების შესახებ, ნოტარიუსი მედეა გვაზავა, 180032287, 12.01.2018. შეთანხმება გირავნობის ხელშეკრულებაში 636658/1-4 ცვლილებების შესახებ, ნოტარიუსი მედეა გვაზავა, 180257633, 13.03.2018.

- შპს „ბორან სოფქიმას“ კაპიტალში გიორგი კორძაძის 4% წილის გირავნობის ხელშეკრულება. გირავნობის ხელშეკრულება 636658/1-1, ნოტარიუსი მაია ბიგვავა, 140005228, 10.01.2014. ბანკის თანხმობა გაუქმებაზე, სს თიბისი ბანკი, N4160/109-42, 26.06.2019 განცხადება, ნოტარიუსი მარიკა გოგოლაძე, 141414762, 29.12.2014. წილის ნასყიდობის ხელშეკრულება, მარიკა გოგოლაძე, 140777517, 24.07.2014. თანხობა სს თიბისი ბანკი, 83/109-42, 25.01.2018.
- შპს „ბორან სოფქიმას“ კაპიტალში თინათინ საფრიძის 21% წილის გირავნობის ხელშეკრულება. ნოტარიუსი მედეა გვაზავა, 191395381, 15.11.2019).

მომრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება წარმოშობილი აქვს სს „თიბისი ბანკს“ (ს/ნ 204854595) რომლის საფუძველია:

- შპს „აგრო ჰოლდინგი - 2“-ის არამატერიალური ქონებრივი სიკეთე: კუთვნილი ყველა და ნებისმიერი არსებული, ასევე მომავალში წამოშობილი უფლება (მ.შ. დებიტორული მოთხოვნის უფლებები და სხვა) ყველა ნებისმიერი პირის მიმართ. გირავნობის ხელშეკრულება 636658/1-6, ნოტარიუსი მაია ბიგვავა, 1400014598, 10.01.2014. შეთანხმება გირავნობის ხელშეკრულებაში 636658/1-6 ცვლილებების შესახებ, ნოტარიუსი მედეა გვაზავა, 180032481, 12.01.2018.

3.9. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.	01 იანვარი, 2021 წ.
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	7 199	6 667	11 648
მოკლევადიანი დივიდენდი	1 050 979	1 778 813	775 819
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	849	1 591	98
	1 059 027	1 787 071	787 565

ჯგუფის დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი შეადგენდა 2022 წელს 81 თანამშრომელს, ხოლო 2021 წელს – 65 თანამშრომელს.

3.10. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები:

სხვა გრძელვადიანი ვალდებულებების შედგება დამფუძნებლებზე გასაცემი დივიდენდებისგან.

3.11. განთავსებული კაპიტალი:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მშობელი საწარმოს შპს „ბორნ სოფქიმიის“ წესდებით განსაზღვრული განთავსებული კაპიტალი იყო 100 ლარი (2022 წელს – 100 ლარი, 2021 წელს – 100 ლარი). სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულია ასი ერთეული.

შვილობილი კომპანიის შპს „აგროპოლდინგი“-ს წესდებით განსაზღვრული განთავსებული კაპიტალი 01.01.2021, 31.12.2021 და 31.12.2022-ის მდგომარეობით შეადგენს 119 817 ლარს, აქედან სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულია მხოლოდ ასი ერთეული.

3.12. ამონაგები:

	2022 წელი (ლარი)	2021 წელი (ლარი)
გაყიდვები და მომსახურება რეზიდენტ პირებზე	31 800 798	25 662 399
საიჯარო შემოსავალი	13 921	-
	31 814 719	25 662 399

3.13. რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება:

	2022 წელი (ლარი)	2021 წელი (ლარი)
მარაგები	23 612 287	20 195 377
სხვა თვითღირებულების ხარჯი	87 780	7 521
	23 700 067	20 202 897

3.14. გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები:

	2022 წელი	2021 წელი
	(ლარი)	(ლარი)
რეკლამის ხარჯები	74 538	78 605
პრეპარატის დარეგისტრირების ხარჯები	86 700	46 951
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	14 822	49 844
სხვა გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები	29 279	94 986
	205 339	270 386

3.15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2022 წელი	2021 წელი
	(ლარი)	(ლარი)
თანამშრომელთა ანაზღაურება	1 319 645	1 079 594
კომუნიკაციის ხარჯები	13 981	13 296
კომუნალური ხარჯები	52 978	45 485
საწვავის ხარჯები	131 722	10 809
საკონსულტაციო ხარჯი	24 347	18 464
წარმომადგენლობითი ხარჯი	15 400	7 337
საბანკო ხარჯები	71 749	52 800
დაზღვევის ხარჯები	12 694	22 547
დაცვის ხარჯები	7 725	6 744
მივლინების ხარჯები	1 991	17 019
ავტომანქანის და სხვა ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	49 246	24 617
ცვთის და ამორტიზაციის ხარჯები	294 557	242 978
საგადასახადო ხარჯები	134 473	86 653
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	64 648	14 774
	2 195 156	1 643 117

3.16. სხვა საოპერაციო ხარჯები:

	2022 წელი	2021 წელი
	(ლარი)	(ლარი)
საოპერაციო იჯარა	115 517	26 085
მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	136 853	80 016
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-	200
	252 370	106 301

3.17. ფინანსური შემოსავალი:

	2022 წელი (ლარი)	2021 წელი (ლარი)
შემოსავალი დეპოზიტებიდან	97 648	11 776
	<u>97 648</u>	<u>11 776</u>

3.18. ფინანსური ხარჯი:

	2022 წელი (ლარი)	2021 წელი (ლარი)
მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი	96 870	302 109
	<u>96 870</u>	<u>302 109</u>

3.19. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი:

	2022 წელი (ლარი)	2021 წელი (ლარი)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მოგება	81 617	-
სავაჭრო ვალდებულებების ჩამოწერა	12 720	58 943
საშემოსავლოს შეღავათი	-	16 283
ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობა	52 052	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	13 930	1 995
	<u>160 318</u>	<u>77 221</u>

3.20. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან:

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2021-მდე	გადახდა ფულადი სახსრებით	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	ვალდებულება 31.12.2022-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	1 333 811	16 623 661	20 089 850	4 800 000
სასესხო ვალდებულება ფიზიკური პირის მიმართ	-	-	-	-
კაპიტალის ცვლილება	100	-	-	100
სულ:	1 333 911	16 623 661	20 089 850	4 800 100

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2021-მდე	გადახდა	პროცენტის დარიცხვა	ვალდებულება 31.12.2022-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	963	94 367	96 870	3 467
გადასახდელი პროცენტები ფიზიკური პირის მიმართ	-	-	-	-
სულ:	963	94 367	96 870	3 467

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 01.01.2021-მდე	გადახდა ფულადი სახსრებით	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	ვალდებულება 31.12.2021-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	5 704 427	17 405 587	13 034 971	1 333 811
სასესხო ვალდებულება ფიზიკური პირის მიმართ	-	-	-	-
კაპიტალის ცვლილება	100	-	-	100
სულ:	5 704 527	17 405 587	13 034 971	1 333 911

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 01.01.2021-მდე	გადახდა	პროცენტის დარიცხვა	ვალდებულება 31.12.2021-მდე
	GEL	GEL	GEL	GEL
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	-	301 146	302 109	963
გადასახდელი პროცენტები ფიზიკური პირის მიმართ	-	-	-	-
სულ:	-	301 146	302 109	963

3.21. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს გაგებული როგორც დაუყოვნებლივ რეალიზებადი, აქტივების ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

ჯგუფმა განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასების გზით. შეფასების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად

ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

3.22. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

ჯგუფის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს ჯგუფის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. ჯგუფი აანალიზებს რისკების ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ჯგუფის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

ჯგუფი დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ჯგუფი მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს ჯგუფისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეები არიან და კრედიტორებიც.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორიცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროს და აშშ დოლარის მიმართ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე.

ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას.

	31 დეკემბერი, 2022 წ.	
	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	732	732
სავაჭრო მოთხოვნები	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-
აქტივები სულ:	732	732
სავაჭრო ვალდებულებები	2 685 636	2 685 636
ვალდებულებები სულ:	2 685 636	2 685 636
ნეტო შედეგი	(2 684 903)	(2 684 903)
USD (10% ცვლილება)	(268 490)	

31 დეკემბერი, 2021 წ.		
	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2 230	2 230
სავაჭრო მოთხოვნები	936 834	936 834
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-
აქტივები სულ:	939 064	939 064
სავაჭრო ვალდებულებები	1 123 960	1 123 960
ვალდებულებები სულ:	1 123 960	1 123 960
ნეტო შედეგი	(184 897)	(184 897)
USD (10% ცვლილება)	(18 490)	
01 იანვარი, 2021 წ.		
	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	847 394	847 394
სავაჭრო მოთხოვნები	859 906	859 906
სხვა მიმდინარე აქტივები	223	223
აქტივები სულ:	1 707 522	1 707 522
სავაჭრო ვალდებულებები	1 537 371	1 537 371
ვალდებულებები სულ:	1 537 371	1 537 371
ნეტო შედეგი	170 152	170 152
USD (10% ცვლილება)	17 015	

3.23. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

**განხორციელებული ტრანზაქციები
პარტნიორთან**

	დაუფარავი ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებუ ლი პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებ ული პერიოდი	ტრანზაქციის ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ ი პერიოდი	ტრანზაქციის ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ ი პერიოდი
	31.12.2022	31.12.2021	2022 წელი	2021 წელი
	GEL	GEL	GEL	GEL
სავაჭრო ვალდებულებები	2 730	1 410	-	-
სავაჭრო მოთხოვნები	7 742	20 672	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	1 074	300	-	-
სახელშეკრულებო ვალდებულებები	2 051	74	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1 052 371	1 778 783	-	-
შესყიდვები (მარაგები)	-	-	3 000	-
შესყიდვები (ძირითადი საშუალებები)	-	-	1 650	-
შემოსავლები	-	-	18 750	11 278
ხელფასის ხარჯები (ადმინისტრაციული)	-	-	67 096	48 034
სხვა ხარჯები	-	-	600	-
მოგება/(ზარალი) საკუთრო სხვაობებიდან	-	-	36	(886)

**განხორციელებული ტრანზაქციები
ძირითად მენეჯმენტთან**

	დაუფარავი ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებუ ლი პერიოდი	დაუფარავი ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებ ული პერიოდი	ტრანზაქციის ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ ი პერიოდი	ტრანზაქციის ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ ი პერიოდი
	31.12.2022	31.12.2021	2022 წელი	2021 წელი
	GEL	GEL	GEL	GEL
სავაჭრო ვალდებულებები	4 807	4 407	-	-
სავაჭრო მოთხოვნები	1 468	23 930	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	5 502	-	-	-
სახელშეკრულებო ვალდებულებები	(0)	-	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	5 503	5 000	-	-
გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	70	8 130	-	-
შესყიდვები (ძირითადი საშუალებები)	-	-	500	154 356
შემოსავლები	-	-	14 348	23 883
ხელფასის ხარჯები (ადმინისტრაციული)	-	-	125 646	72 082
სხვა ხარჯები	-	-	1	54
მოგება/(ზარალი) საკუთრო სხვაობებიდან	-	-	289 563	(9 903)

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	დაუფარავი ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებუ ლი პერიოდი 31.12.2022	დაუფარავი ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებ ული პერიოდი 31.12.2021	ტრანზაქციის ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ ი პერიოდი 2022 წელი	ტრანზაქციის ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებუ ლი პერიოდი 2021 წელი
	GEL	GEL	GEL	GEL
სავაჭრო ვალდებულებები	811	227	-	-
სავაჭრო მოთხოვნები	7 104	41 359	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	-	116 198	-	-
სახელშეკრულებო ვალდებულებები	28 665	1	-	-
გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	999	-	-	-
შესყიდვები (მარაგები)	-	-	522	-
შემოსავლები	-	-	570 433	730 388
ფინანსური შემოსავალი	-	-	13 305	5 198
იჯარის ხარჯები	-	-	735	-
სხვა ხარჯები	-	-	400	6 345
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	-	-	(2 706)	(12 868)

3.24. გაუთვალისწინებელი გარემოებები

კანონმდებლობა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი რეჟიმი – ე.წ. „ესტონური მოდელი“, რომელიც თვისებრივად განსხვავდება მანამდე მოქმედი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმისაგან. ამასთან, დაბეგვრის ეს რეჟიმი არის იშვიათი, კერძოდ, საქართველო გახდა მეორე ქვეყანა ევროპაში (ესტონეთის შემდეგ), რომელმაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ეს მოდელი აირჩია. მოდელის თავისებურები, თვისობრივი სიახლე და საგადასახადო პრაქტიკის სიმცირე ქმნის გარკვეულ განუზღვრელობას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხში, თუმცა მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ.

სასამართლო დავები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ ჰქონდა სასამართლო დავები.

3.25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის 11 მაისს შპს „ბორნ სოფქიმია“ ფიზიკურ პირ სევერიან გოროზიასგან შეიძინა შპს „სევეკოს“ (ს/ნ 400128250) 50%-იანი წილი;

2024 წლის 10 სექტემბერს ფიზიკურ პირ ვეფხვია ნიკოლავასგან შეიძინა შპს „სევეკოს“ (ს/ნ 400128250) 50%-იანი წილი და გახდა 100%-იანი მესაკუთრე;

2024 წლის 18 ოქტომბერს შპს „სევეკომ“ შეიცვალა დასახელება და გახდა შპს „აგრო ჰოლდინგი - 2“;

2024 წელს განხორციელდა შპს „სევეკო“-ში თანხის შენატანები შემდგომში სასაწყობე მეურნეობის მოსაწყობად;

2024 წლის 30 აპრილს აუდიტის დეპარტამენტმა გამოსცა ბრძანება შპს „ბორნ სოფქიმის“ საქმიანობის გასვლითი საგადასახადო შემოწმებაზე. ამავე წლის 20 ივნისს აუდიტის დეპარტამენტმა გამოსცა ბრძანება 2024 წლის 30 აპრილის ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2025 წლის 19 თებერვლამდე, არ მომხდარა რაიმე სხვა სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

3.26. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 19 თებერვალს ჯგუფის მენეჯმენტის მიერ. ჯგუფის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „ბორნ სოფქიმია“

2022 წლის კონსოლიდირებული მმართველობის

ანგარიშგება

(საქმიანობის მიმოხილვა)

დაარსების ისტორია და ძირითადი ინფორმაცია დამფუძნებლების, დირექტორებისა და სამართლებრივი სტატუსის შესახებ

კომპანია „ბორნ სოფქიმია“ (საიდენტიფიკაციო ნომერი - 206337784) დაარსდა 15.01.2009 წელს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი სტატუსით (თავდაპირველი სახელწოდებით - „ბორან სოფქიმია“), აჩიკო კორძაძისა და შპს ბორან.ჯ-ს მიერ თანაბარი წილობრივი მონაწილეობით, საწესდებო კაპიტალით 100 ლარი.

2012 წელს სარეგისტრაციო მონაცემებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: აჩიკო კორძაძეს - 50%, შპს ბორან.ჯ-ს - 45% და ლევან აროშიძეს - 5 %.

2013 წელს სარეგისტრაციო მონაცემებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: აჩიკო კორძაძეს 50%, შპს ბორან.ჯ-ს 25%, ლევან აროშიძე-ს 10% და გიორგი კორძაძეს 15%.

2014 წელს სარეგისტრაციო მონაცემებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: აჩიკო კორძაძეს 50%, შპს ბორან.ჯ-ს 21%, ლევან აროშიძე-ს 14% და გიორგი კორძაძეს 15%.

2018 წელს სარეგისტრაციო მონაცემებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: აჩიკო კორძაძეს 50%, შპს ბორან.ჯ-ს 21% და გიორგი კორძაძეს 29%.

2019 წლის 10 ოქტომბერს სარეგისტრაციო მონაცემებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: აჩიკო კორძაძეს 50%, გიორგი კორძაძე 29% და შალვა ყაფლანიშვილი 21%.

2019 წლის 15 ოქტომბერს სარეგისტრაციო მონაცემებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: აჩიკო კორძაძეს 50%, გიორგი კორძაძე 29% და თინათინ საფრიძე 21%.

კომპანიის მმართველობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არიან კომპანიის გენერალური დირექტორი თინათინ საფრიძე და აღმასრულებელი დირექტორი გია კორძაძე. ორივე მათგანი საზოგადოებას წარმოადგენენ როგორც ცალ-ცალკე ერთპიროვნულად, ასევე ერთად.

შპს „ბორნ სოფქიმის“ შვილობილ კომპანიას წარმოადგენს შპს „აგრო ჰოლდინგი“.

კომპანია „აგრო ჰოლდინგი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი - 406104996) დაარსდა 17.10.2013 წელს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი სტატუსით, შპს „ბორან სოფქიმია“ - 25%, შპს „აგრო ქართლი“ - 25%, შპს „ზადენი“ - 25%, შპს „აგრო თრეიდინგი“ - 25% მიერ თანაბარი წილობრივი მონაწილეობით.

2014 წლის 05 მაისს სარეგისტრაციო მონაცემებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: შპს „ბორან სოფქიმია“ – 33,4%, შპს „აგრო ქართლი“ – 25%, შპს „აგრო თრედიინგი“ – 25%, შპს „მაქსამ აგრო საქართველო“ – 16,6%.

2017 წლის 11 იანვარს სარეგისტრაციო მონაცემებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: შპს „ბორან სოფქიმია“ – 100 %.

კომპანიის მმართველობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია კომპანიის დირექტორი აჩიკო კორძაძე.

ორგანიზაციული სტრუქტურა

ჯგუფის ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი რგოლებისა და მათი ხელმძღვანელების/კოორდინატორების სახით: პარტნიორთა კრება; დირექტორატი; იურიდიული სამსახური; საფინანსო სამსახური, კორპორატიულ კლიენტებთან ურთიერთობის სამსახური; ლოგისტიკის სამსახური; ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური; სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახური.

ქვედა რგოლის მენეჯმენტს შეადგენენ ფილიალების მენეჯერები, რომლებიც ახორციელებენ ფილიალების ოპერატიულ მართვას შესაბამისი ლოკაციების მიხედვით.

მისია და საქმიანობის მიზანი

შპს „ბორან სოფქიმია“-ს მისია არის ფერმერთა სამეურნეო საქმიანობაში თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრება.

დაარსების დღიდან კომპანიის მიზანია მუდმივად უზრუნველყოს ფერმერთა სამეურნეო საქმიანობის წარმატება, ხარისხიანი პროდუქციის მიწოდებითა და კვალიფიციური კონსულტაციის საშუალებით.

დღეს „ბორან სოფქიმია“ ყველა მოწინავე ფერმერისა და კომპანიის უცვლელი პარტნიორია. სწორი ბიზნეს-მოდელი, კვალიფიციური გუნდი, პარტნიორებისა და მომხმარებლების პატივისცემა არის ის ძირითადი ფაქტორები, რამაც განაპირობა კომპანიის წარმატება.

შპს „აგრო ჰოლდინგს 2019 წლიდან შეჩერებულია აქვს საქმიანობა.

ძირითადი საკითხების მიმოხილვა

კომპანია 2009 წლიდან მოღვაწეობს საქართველოს ბაზარზე და მომხმარებელს სთავაზობს, მსოფლიოში აღიარებული ბრენდების მიერ წარმოებულ მცენარეთა დაცვის საშუალებებს, სასუქებს, სათესლე მასალას, ბიოლოგიური დაცვის საშუალებებს, სარწყავ სისტემებსა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს. პროდუქციის იმპორტი ხორციელდება ისეთი ქვეყნებიდან როგორებიცაა: შვეიცარია, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ნიდერლანდები, გერმანია, დანია, ლატვია, ისრაელი, იაპონია, ამერიკა, თურქეთი, და ა.შ.

იმპორტის და რეალიზაციის სამიზნე სამომხმარებლო სეგმენტს წარმოადგენს საცალო ქსელი და კერძო კორპორატიული სექტორი. აგროსფეროში 24 წლიანი მოღვაწეობის გამოცდილებიდან გამომდინარე, ამ ბაზარზე კომპანია ძლიერად არის წარმოდგენილი, ბრენდის ცნობადობა და პოზიციებიც ბაზარზე წლიდან წლამდე იზრდება და ვითარდება.

კომპანია ბაზარზე ფართო სავაჭრო ქსელით არის წარმოდგენილი, რომელიც მოიცავს ცამეტ სავაჭრო ობიექტს თბილისსა და რეგიონებში. ფილიალების ფართო ქსელი კომპანიას შესაძლებლობას აძლევს გააძლიეროს ბაზარზე პოზიციონირების გეოგრაფიული არეალი და გააუმჯობესოს მომხმარებელთან წვდომა.

ასევე კონკურენტულ უპირატესობას ქმნის მძლავრი საკუთარი სასაწყობო ინფრასტრუქტურა და სასაქონლო მარაგები, რაც უზრუნველყოფს მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნების ოპერატიულად დაკმაყოფილებას. მაღალი ხარისხის პროდუქცია, ოპტიმალურად წარმოდგენილი საფასო პოლიტიკა, განვითარებული მომსახურების სერვისი, მრავალფეროვანი მარკეტინგული აქტივობები მომხმარებელთან მაქსიმალური დაახლოების შესაძლებლობას ქმნის.

პროდუქციის ვრცელი ასორტიმენტი და მრავალფეროვანი არჩევანი, როგორც ხარისხის ისე საფასო კატეგორიის კუთხით, სხვადასხვა მსყიდველობითუნარიანი მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების მაქსიმალურ შესაძლებლობას იძლევა.

შპს „ბორნ სოფქიმია“ მომხმარებელზე ორიენტირებული კომპანიაა, რომლისთვისაც რეპუტაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ისევე როგორც ძირითადად ყველა რითეილ სექტორზე ორიენტირებული კომპანიისთვის, რომელსაც აქვს ხანგრძლივი მოღვაწეობის ისტორია და მზარდი განვითარების დინამიკა. შედეგად კომპანია უკომპრომისოდ აქცენტს აკეთებს ხარისხიანი პროდუქციის წარდგენასა და მომხმარებელთან კეთილსინდისიერი ურთიერთობის დამყარებაზე.

ბრენდის განვითარების მხრივ სისტემატური ზრუნვის საგანია თანამედროვე სერვისების დანერგვა და განვითარება, თამამი გადაწყვეტილების მიღება და ინოვაციური ნაბიჯების გადადგმა.

მართვის მაქსიმალურად მოქნილი და ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის კომპანიის სხვადასხვა რგოლებისთვის გაწერილი და ჩამოყალიბებულია საოპერაციო სტანდარტები და პროცედურები. სწრაფი ოპერირებისათვის აქტიურად გამოიყენება IT ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს უწყობენ დავალებების სწრაფ შესრულებას, ინფორმაციის ეფექტიან მიმოცვლას სხვადასხვა რგოლებს შორის (შესყიდვები-საწყობი-გაყიდვების ქსელი-ადმინისტრაცია).

შესყიდვების მართვისა და ლოჯისტიკის განყოფილებაში ინტენსიურად მუშავდება სასაქონლო მარაგების ანალიტიკური მონაცემები რაც უზრუნველყოფს ლიკვიდური მარაგების დადგენას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს შესყიდვების გუნდს მათი სასიცოცხლო ციკლის გათვალისწინებით განახორციელოს პროდუქციის ბაზარზე შეუფერხებელი მიწოდება საჭირო რაოდენობებით.

დასაქმებულთა წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით სისტემატურ რეჟიმში ხორციელდება მატერიალური წახალისება (ბონუსები, პრემიები, ფასიანი საჩუქრები),

პერიოდულად - სხვადასხვა სასწავლო პროგრამების სწავლის სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება, უტარდებათ ტრენინგები კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით როგორც ადგილზე, ასევე უცხოეთში, დამსახურების მიხედვით ხორციელდება შესაბამისი კადრების დაწინაურება.

ამჟამად დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 70-მდე თანამშრომელს, რომელთათვის ღირსეული სამუშაო გარემოს შექმნა და განვითარება კომპანიის მუდმივი ზრუნვის საგანია. შპს „ბორნ სოფქიმია“ აქცენტს აკეთებს ბაზარზე ეკოლოგიური პროდუქციის აქტიურ დანერგვაზე.

კომპანიის მთლიანი ინფრასტრუქტურა აღჭურვილია დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით. 24-საათიანი თანამედროვე ციფრული ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა უზრუნველყოფს უსაფრთხოების სტანდარტების მაქსიმალურ დაცვას.

მოწვეულ სპეციალისტთან ერთად, საერთაშორისო გამოცდილებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, აგრეთვე ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით შემუშავებული და დანერგილია შრომის უსაფრთხოების პროცედურები და სტანდარტები, რათა კომპანიაში დასაქმებული პერსონალი უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხო შრომის გარემოთი.

მძლავრი სასაწყობე-ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურა კომპანიის განვითარების მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი. ამ მხრივ ბოლო წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი ინვესტიციების შედეგად კომპანიას აქვს 4 000 კვადრატულ მეტრზე მეტი, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი საკუთარი სასაწყობე ინფრასტრუქტურა. მძლავრი და თანამედროვე ავტოპარკი კი უზრუნველყოფს პროდუქციის ოპერატიულ მიმოქცევას ფილიალებს შორის და მომხმარებლებთან ადგილზე მიწოდების ეფექტიან სერვისს.

შვილობილ კომპანიაში ამჟამად დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 1 თანამშრომელს.

ფილიალების შესახებ ინფორმაცია

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნდა 13 (ცამეტი) ფერმერთა მომსახურების ცენტრი-მაღაზია. ამათგან 3 (სამი) მდებარეობს ქ. თბილისში, ხოლო 10 (ათი) - საქართველოს სხვა რეგიონებში.

ფილიალები, სადაც წარმოდგენილია მცენარეთა დაცვის საშუალებები, სასუქები, სათესლე მასალა, ბიოლოგიური დაცვის საშუალებები, სარწყავი სისტემები და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი:

1. ქ. თბილისი, ისანი-სამგორი, მარნეულის ქ. N44;
2. ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთი, აკ. წერეთლის გამზ. N142;
3. ქ. თბილისი, სამგორის რაიონი მოსკოვის გამზირი N2;
4. კახეთი, გურჯაანის რაიონი, სოფ.ახაშენი;
5. კახეთი, გურჯაანის რაიონი, სოფ.ვაჩნაძიანი;
6. კახეთი, ქ. თელავი, თბილისის გზატკეცილი N35;
7. კახეთი, ქ. ყვარელი, ჰერეთის მოედანი N7;
8. კახეთი, სიღნაღის რაიონი ქ. წნორი, აღმაშენებლის N38;
9. კახეთი, ლაგოდეხის რაიონი, სოფ.ჭაბუკიანი;

10. ქვემო ქართლი, ბოლნისის რაიონი, სოფ.ფარიზი;
11. შიდა ქართლი, ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი N3;
12. იმერეთი, წყალტუბოს რაიონი, სოფ.გეგუთი;
13. სამეგრელო, ქ. ზუგდიდი, რუსთაველის 209.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და მათი დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად კომპანია წარმოადგენს განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს.

2022 წლის ბოლოსათვის, კომპანიის კაპიტალი შეადგენდა 100 ლარს, მოკლევადიანი აქტივების ღირებულება - 20 594 184 ლარს, ხოლო გრძელვადიანი აქტივების ღირებულებამ ამავე პერიოდისთვის შეადგინა 4 017 491 ლარი.

2021 წლის ბოლოსათვის, კომპანიის კაპიტალი შეადგენდა 100 ლარს, მოკლევადიანი აქტივების ღირებულება - 12 677 942 ლარს, ხოლო გრძელვადიანი აქტივების ღირებულებამ ამავე პერიოდისთვის შეადგინა 4 137 276 ლარი.

კომპანიის ამონაგებმა 2022 წელს - 31 814 719 ლარი შეადგინა, ხოლო 2021 წელს - 25 662 399 ლარი.

2022 წლის სახელფასო ფონდმა 1 319 645 ლარი შეადგინა, ხოლო 2022 წელს 1 079 594 ლარი.

ბიუჯეტში გადასახადების სახით კომპანიას 2022 წელს გადახდილი აქვს 1 092 936 ლარი, ხოლო 2021 წელს 770 009 ლარი.

საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია შპს „ბორნ სოფქიმია“-ს გენერალური დირექტორის მიერ 2024 წლის 19 თებერვალს.

გენერალური დირექტორი ----- თინათინ საფრიძე



შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საიდენტიფიკაციო № 211344188. www.tsodnisa.ge ელ. ფოსტა: info@tsodnisa.ge
თბილისი 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, IV სართული. ტელ.: 239-33-50, 239-33-69

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „ბორნ სოფქიმის“ პარტნიორსა და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ბორნ სოფქიმის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი – 206337784) (შემდგომში – „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და კონსოლიდირებული სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის – „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ – ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი კონსოლიდირებული საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, მს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით 2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარება ჩვენმა აუდიტორმა კომპანიამ დაიწყო 2023 წლის ივნისიდან. შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვახერხეთ საანგარიშგებო პერიოდის (2022 წლის) დასაწყისში და ბოლოს, აგრეთვე შესადარისი პერიოდის დასაწყისში და ბოლოს მარაგების ინვენტარიზაციაზე დაკვირვებით ან სხვა ალტერნატიული გზებით, მარაგების რაოდენობების დადასტურება, რომლებიც ჯგუფს აქვს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და ბოლოს (2022 წლის დასაწყისში - 9 774 ათასი ლარი, 2022 წლის ბოლოს - 13 348 ათასი ლარი და 2021 წლის დასაწყისში - 7 707 ათასი ლარი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ,

აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ მარაგთან და მის მოძრაობასთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარეებისგან დასტურის წერილები სავაჭრო ვალდებულებების უმეტეს ნაწილზე (31.12.2022: 3 119 ათასი ლარი, 31.12.2021: 2 454 ათასი ლარი და 01.01.2021: 2 595 ათასი ლარი) და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მათი დადასტურება. შესაბამისად, ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა სავაჭრო ვალდებულებების დავალიანების მუხლში და მათთან დაკავშირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტების მუხლებში რამე სახის კორექტირებების შეტანა.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარეებისგან დასტურის წერილები გადახდილი ავანსების უმეტეს ნაწილზე (31.12.2022: 1 668 ათასი ლარი, 31.12.2021: 1 587 ათასი ლარი და 01.01.2021: 5 282 ათასი ლარი) და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მათი დადასტურება. შესაბამისად, ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა გადახდილი ავანსების მუხლში და მათთან დაკავშირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტების მუხლებში რამე სახის კორექტირებების შეტანა.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ დასტურის წერილი და ბანკის ამონაწერები შვილობილ საწარმოზე შპს „აგრო ჰოლდინგი“ და ვერ შევძელით ამ შვილობილი საწარმოს საბანკო ანგარიშებზე ნაშთების დადასტურება (31.12.2022: 2 ათასი ლარი, 31.12.2021: 2 ათასი ლარი და 01.01.2021: 2 ათასი ლარი). შესაბამისად, ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლში და მათთან დაკავშირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტების მუხლებში რამე სახის კორექტირებების შეტანა. აღსანიშნავია, რომ კომპანიას 2019 წლიდან სამეურნეო ოპერაციები არ განუხორციელებია.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლად ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...“

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის ანგარიშგებას ამზადებს ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ყ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ის სდპ, რომელიც შეესაბამება პირველი კატეგორიის საწარმოს ზომით კატეგორიას, ამასთანავე, საანგარიშგებო პერიოდში ჰყავს საშუალოდ 500-ზე მეტი დასაქმებული...“

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, ჯგუფმა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. კონსოლიდირებულ საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას ჯგუფის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობის შესახებ

ჯგუფის 2023 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედნილია ამავე საანგარიშგებო წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

სხვა გარემოებები

შპს „აგროპოლიტიკა“-ს წესდებით განსაზღვრული განთავსებული საწესდებო კაპიტალი 01.01.2021, 31.12.2021 და 31.12.2022-ის მდგომარეობით შეადგენს 119 817 ლარს, აქედან სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულია მხოლოდ ასი ერთეული.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე
ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით

გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენი მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენი:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენი აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების

შემთხვევაში მივეუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი – საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“
საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

19 თებერვალი, 2025 წელი



მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას და კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებას 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე კონსოლიდირებულ სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებული მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2025 წლის 19 თებერვალს:

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



თინათინ საფრიძე

გიორგი დავითაძე

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.	01 იანვარი, 2021 წ.	შენიშვნა
მოკლევადიანი აქტივები:				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5 050 811	70 437	1 169 386	3.1.
სავაჭრო მოთხოვნები	501 185	1 125 362	979 531	3.2.
მარაგები	13 348 469	9 774 233	7 706 694	3.3.
გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული მომდინარე საგადასახადო აქტივები	1 667 794	1 587 221	5 281 607	
სხვა მომდინარე აქტივები	17 726	-	-	3.4.
სხვა მოკლევადიანი აქტივები	15 042	121 404	23 061	
მოკლევადიანი აქტივები სულ:	20 601 027	12 678 657	15 160 279	
გრძელვადიანი აქტივები:				
ძირითადი საშუალებები	3 854 023	3 975 653	3 397 562	3.5.
არამატერიალური აქტივები	18 801	16 956	6 985	3.6.
გრძელვადიანი აქტივები სულ:	3 872 824	3 992 609	3 404 547	
აქტივები სულ:	24 473 851	16 671 265	18 564 826	
მოკლევადიანი ვალდებულებები:				
სავაჭრო ვალდებულებები	3 119 253	2 454 100	2 595 296	3.7.
მოკლევადიანი სესხები	4 803 467	1 334 774	5 704 427	3.8.
სახელმწიფო ვალდებულებები	282 123	464 520	111 853	
მომდინარე საგადასახადო ვალდებულებები	-	51 898	64 504	3.4.
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1 059 027	1 787 071	787 565	3.9.
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	9 263 870	6 092 364	9 263 644	
გრძელვადიანი ვალდებულებები:				
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	294 496	1 345 475	3 124 288	3.10.
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	294 496	1 345 475	3 124 288	
კაპიტალი				
განთავსებული კაპიტალი	100	100	100	3.11.
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	14 915 385	9 233 326	6 176 794	
მესაკუთრეთა კაპიტალი	14 915 485	9 233 426	6 176 894	
არამაკონტროლებელი წილი				
კაპიტალი სულ:	14 915 485	9 233 426	6 176 894	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	24 473 851	16 671 265	18 564 826	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 19 თებერვალს და ხელმოწერილია:

გენერალური დირექტორი ----- თინათინ საფრიძე

მთავარი ბუღალტერი ----- გიორგი დავითაძე

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	2022 წელი	2021 წელი	შენიშვნა
ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	31 814 719	25 662 399	3.12.
რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება	(23 700 067)	(20 202 897)	3.13.
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	8 114 652	5 459 502	
გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები	(205 339)	(270 386)	3.14.
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2 195 156)	(1 643 117)	3.15.
სხვა საოპერაციო ხარჯები	(252 370)	(106 301)	3.16.
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	5 461 787	3 439 698	
ფინანსური შემოსავალი	97 648	11 776	3.17.
ფინანსური ხარჯი	(96 870)	(302 109)	3.18.
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობებიდან	92 148	(149 354)	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	160 318	77 221	3.19.
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(29 913)	(20 700)	
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	5 685 118	3 056 532	
მოგების გადასახადი	(3 060)	-	
წლის წმინდა მოგება	5 682 059	3 056 532	
წლის სრული შემოსავალი	5 682 059	3 056 532	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 19 თებერვალს და ხელმოწერილია:

გენერალური დირექტორი

თინათინ საფრიძე

მთავარი ბუღალტერი

გიორგი დავითაძე

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



(1 ლარი)

	განთავსებული კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ სათაო კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2021-სთვის	100	6 176 794	6 176 894	6 176 894
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	3 056 532	-	3 056 532
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი	100	9 233 326	9 233 426	9 233 426
სრული შემოსავალი				
სულ მესაკუთრეებთან	-	-	-	-
განხორციელებული ოპერაციები				
ნაშთი 31.12.2021-სთვის	100	9 233 326	9 233 426	9 233 426
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	5 682 059	5 682 059	5 682 059
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი	100	14 915 385	14 915 485	14 915 485
სრული შემოსავალი				
სულ მესაკუთრეებთან	-	-	-	-
განხორციელებული ოპერაციები				
ნაშთი 31.12.2022-სთვის	100	14 915 385	14 915 485	14 915 485

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოდგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2022 წელი	2021 წელი	შენიშვნა
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	33 187 672	26 334 773	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(27 197 004)	(19 485 422)	
გაცემული შრომის ანაზღაურება (საპენსიო შენატანების ჩათვლით)	(925 610)	(882 589)	
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	(4 311)	11 132	
გადახდილი გადასახადები	(1 092 936)	(770 009)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(227 276)	(40 888)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	3 740 535	5 166 998	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(714 268)	(826 026)	
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გასვლიდან შემოსულობანი	108 617	10 000	
მიღებული პროცენტები	84 343	5 674	
სხვა შემოსულობანი /განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)	225 377	(50 939)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(295 931)	(861 291)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების აღება	20 089 850	13 034 971	
სესხების დაფარვა	(16 623 661)	(17 405 587)	
გადახდილი პროცენტები	(94 367)	(301 146)	3.21.
გადახდილი დივიდენდები	(1 689 872)	(737 028)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	1 681 950	(5 408 790)	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(146 180)	4 134	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	4 980 374	(1 098 949)	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	70 437	1 169 386	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	5 050 811	70 437	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 19 თებერვალს და ხელმოწერილია:

გენერალური დირექტორი ----- თინათინ საფრიძე

მთავარი ბუღალტერი ----- გიორგი დავითაძე

თანდართული შენიშვნები მე-13-დან 35-ე გვერდის საშუალოდ წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



10. ქვემო ქართლი, ბოლნისის რაიონი, სოფ.ფარიზი;
11. შიდა ქართლი, ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი N3;
12. იმერეთი, წყალტუბოს რაიონი, სოფ.გეგუთი;
13. სამეგრელო, ქ. ზუგდიდი, რუსთაველის 209.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და მათი დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

„ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად კომპანია წარმოადგენს განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს.

2022 წლის ბოლოსათვის, კომპანიის კაპიტალი შეადგენდა 100 ლარს, მოკლევადიანი აქტივების ღირებულება - 20 594 184 ლარს, ხოლო გრძელვადიანი აქტივების ღირებულებამ ამავე პერიოდისთვის შეადგინა 4 017 491 ლარი.

2021 წლის ბოლოსათვის, კომპანიის კაპიტალი შეადგენდა 100 ლარს, მოკლევადიანი აქტივების ღირებულება - 12 677 942 ლარს, ხოლო გრძელვადიანი აქტივების ღირებულებამ ამავე პერიოდისთვის შეადგინა 4 137 276 ლარი.

კომპანიის ამონაგებმა 2022 წელს - 31 814 719 ლარი შეადგინა, ხოლო 2021 წელს - 25 662 399 ლარი.

2022 წლის სახელფასო ფონდმა 1 319 645 ლარი შეადგინა, ხოლო 2022 წელს 1 079 594 ლარი.

ბიუჯეტში გადასახადების სახით კომპანიას 2022 წელს გადახდილი აქვს 1 092 936 ლარი, ხოლო 2021 წელს 770 009 ლარი.

საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია შპს „ბორნ სოფქიმია“-ს გენერალური დირექტორის მიერ 2024 წლის 19 თებერვალს.

გენერალური დირექტორი



თინათინ საფრიძე